

eHRMS

ადამიანური რესურსების მართვის
ელექტრონული სისტემა

წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით საჯარო სექტორში დასაქმებული პერსონალის ერთიან მონაცემთა ბაზას. მისი მიზანია ადამიანური რესურსების ელექტრონული მართვის უზრუნველყოფა შემუშავებული პოლიტიკისა და სტანდარტების შესაბამისად. eHRMS არის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო სექტორის უწყებებისა და ორგანიზაციების პერსონალის მართვის ფუნქციის ახალ საფეხურზე გადაყვანას.

სისტემა იძლევა საბაზო საკადრო ადმინისტრაციის ფუნქციების ავტომატიზების საშუალებას. მასში გაერთიანებულია შემდეგი ფუნქციები:

- სტრუქტურისა და სამტატო ერთეულების მართვა;
- სტატისტიკური ინფორმაციის გენერაცია;
- თანამშრომლების შესახებ სრულყოფილი, მუდმივად განახლებული ელექტრონული ინფორმაციის არსებობა;
- სამუშაოს აღწერილობა;
- თანამშრომლის დასწრების აღრიცხვა;
- პერსონალის ხელფასის უწყისის რეესტრი;
- თანამშრომლის მივლინებების რეესტრი;
- ძებნისა და ანგარიშგების მძლავრი მექანიზმი;

- ავტომატური შეტყობინებების გენერირების ფუნქციონალი;
- თანამშრომლის მონაცემების არქივირება;
- კლასიფიკატორთა მართვა

სამომავლოდ, სისტემას დაემატება შერჩევის, შეფასების, სწავლებისა და განვითარების მოდულები. ასევე, სისტემას ექნება მომხმარებლის მოდული (*self-service*), რაც თითოეულ თანამშრომელს საკუთარ მონაცემებზე წვდომისა და კადრების თანამშრომლებთან ინფორმაციის გაცვლის საშუალებას მისცემს.

სისტემის უპირატესობები:

- სიმარტივე და მოქნილობა მოხმარებისას;
- საკადრო საქმიანობის შესრულებაზე დახარჯული დროისა და რესურსების მნიშვნელოვანი ეკონომია;
- ადმინისტრაციული დანახარჯების შემცირება და მუშაობის ხარისხის ზრდა;
- ხელით შრომით გამოწვეულ შეცდომებსა და მონაცემებს შორის შეუსაბამობის რაოდენობის შემცირება;
- მენეჯმენტის სწორი გადაწყვეტილებების დროული მიღების პროცესის ოპტიმიზება

სისტემა შექმნილია მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის, ქვეყნის საკადრო კანონმდებლობისა და მართვის მიღებული წესების გათვალისწინებით.




eHRMS

ადამიანური რესურსების მართვის
ელექტრონული სისტემა



სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
გორგასლის ქუჩა 16, თბილისი 0114, საქართველო

☎ 1551 ✉ 1551@mof.ge 🌐 www.fas.ge



☎ 1551 ✉ 1551@mof.ge 🌐 www.fas.ge